



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 52  
02/08/2018

52-06-4-201808021129



განკარგულება N52  
1 აგვისტო 2018 წელი

**„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო